თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1860017

ნომერი: AR1297606

თარიღი : 27.03.2015

გაცემის თარიღი : 27.04.2015

გაცნობის თარიღი : 28.04.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომიდან გლდანში მიმავალ მაგისტრალსა და საავადმყოფოების კომპლექსს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბი ჩაგიაშვილი პ/ნ 60002003088
- ქუთაისი თბილისის ქ. N 13

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

სამი ურთიერთდამოუკიდებელი დროებითი (საძირკვლის არ მქონე) შენობა ნაგებობის, ავტომობილის გასასუფთავებელი აპარატების და სარეკლამო აბრების განთავსების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, დიდი დიღომიდან გლდანში მიმავალ მაგისტრალსა და საავადმყოფოების კომპლექსს შორის, შპს "ზ.მ."-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე სამი ურთიერთდამოუკიდებელი დროებითი (საძირკვლის არ მქონე) შენობა ნაგებობის, ავტომობილის გასასუფთავებელი აპარატების და სარეკლამო აბრების განთავსებას. პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882015153759 02/04/2015წ. საკადასტრო კოდი N 01.13.01.004.051; საპროექტო ფოტომონტაჟი, ესკიზური ნახაზი, ამეიკის საელჩოს თანხმობა, იპოთეკარის თანხმობა) ქალაქთმმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი –დიდუბე, დიდი დიღომიდან გლდანში მიმავალ მაგისტრალსა და საავადმყოფოების კომპლექსს შორის, შპს "ზ.მ."-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე სამი ურთიერთდამოუკიდებელი დროებითი (საძირკვლის არ მქონე) შენობა ნაგებობის, ავტომობილის გასასუფთავებელი აპარატების და სარეკლამო აბრების განთავსების შესაძლებლობას.

საპროექტო ყველა ობიექტი განთავსდეს N 01.13.01.004.051 მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.